დანართი 5

განმცხადებლის თანხმობა კონკურსის წესებზე და პირობებზე

განმცხადებლის წარმომადგენელი, ქვემორე ხელისმომწერი, რომელიც განმცხადებლის უფლებამოსილ ხელისმომწერს წარმოადგენს, ადასტურებს თავის განზრახვას შეიტანოს განაცხადი საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში GITA) მიერ განხორციელებულ თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკუსში და ცნობს, რომ: grants.gov.ge-ს მომხმარებელი <*სახელი, გვარი, პირადი ნომერი*> განმცხადებლის უფლებამოსილი წარმომადგენელია წინამდებარე განაცხადის წარმოდგენის მიზნებისათვის.

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- განმცხადებელი უშუალოდ არის პასუხისმგებელი პროექტის მომზადებაზე, მართვასა და განხორციელებაზე და არ ასრულებს შუამავლის როლს;
- განმცხადებელმა მოთხოვნისთანავე უნდა წარმოადგინოს თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელოში მითითებული ყველა სახის თანდართული დოკუმენტაცია, და ასევე GITA-ს მიერ მოთხოვნილი ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაცია და მტკიცებულებები;
- განმცხადებელს გააჩნია თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელოში მითითებული პროფესიონალური კომპეტენცია და კვალიფიკაცია;
- გრანტის მიღების შემთხვევაში, განმცხადებელს შეუძლია თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელოში განსაზღვრული თანადაფინანსების სავალდებულო წილის უზრუნველყოფა;
- განმცხადებელი აკმაყოფილებს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს;
- განმცხადებელი არ ითხოვს დაფინანსებას იმავე საქონლისა და მომსახურებისათვის, რომელიც ერთხელ უკვე დაფინანსდა სააგენტოს მიერ;
- განმცხადებელი არ არის გაკოტრებული, გადახდისუუნარო, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესში, არ არის რეგისტრირებული აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში და ამასთან დაკავშირებით მისი საქმე არ იმყოფება სასამართლო წარმოებაში, არ აქვს შეჩერებული ბიზნეს საქმიანობა, და ამ საკითხებთან დაკავშირებით არ არის დაწყებული გამოძიება, ასევე არ არის სახეზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მსგავსი პროცედურები რაც იწვევს ანალოგიურ მდგომარეობას;
- განმცხადებლის თანადამფუძნებლები ასევე არ არიან მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულნი;
- განმცხადებელი არ არღვევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ საგადასახადო ვალდებულებებს.
- გრანტის მიღების შემთხვევაში, განმცხადებელი დაეთანხმება საგრანტო ხელშეკრულებით გაწერილ წესებს და პირობებს.

2. ინფორმაციის გამოყენება

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოყვანილი ინფორმაცია არის უტყუარი და სრული, აღნიშნულის დარღვევის შემთხვევაში განმცხადებელი შესაძლოა დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ სანქციებს - შეფასების პროცესიდან გამოთიშვის ან განხორციელების სტადიაზე საგრანტო ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმით;
- განმცხადებელი სრულ პასუხისმგებლობას იღებს ინგლისურ და ქართულ ენებზე მოწოდებული დოკუმენტაციის ერთმანეთთან შესაბამისობაზე;
- GITA-ს შეუძლია გამოაქვეყნოს განმცხადებელთან დაკავშირებული დეტალები, როგორიცაა

პროექტის დასახელება, მისამართი, და ა.შ. და საპროექტო წინადადებასთან დაკავშირებული მოკლე ინფორმაცია, ისეთი დეტალების გამჟღავნების გარეშე (მაგ. გამოყენებული ტექნოლოგია, კომერციული საიდუმლოება ან სხვა სენსიტიური მონაცემები) რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს განმცხადებლის კომერციულ ინტერესებს;

- გრანტის მიმღები უფლებას აძლევს GITA-ს მესამე მხარის (საერთაშორისო დონორები, სახელმწიფო სტრუქტურები, სხვადასხვა კონკურსების ორგანიზატორი ორგანიზაციები, გრანტის მიმღებთან თანამშრომლობის სურვილის მქონე პირები) მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს გრანტის მიმღების საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი, გრანტის მიმღების იურდიული სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, პროექტის მოკლე აღწერა.

- GITA უფლებამოსილია დაამუშავოს მონაცემები, ისეთი დეტალების გამჟღავნების გარეშე (მაგ. გამოყენებული ტექნოლოგია, კომერციული საიდუმლოება ან სხვა სენსიტიური მონაცემები) რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს განმცხადებლის კომერციულ ინტერესებს;
- წინასწარი შერჩევის შემთხვევაში, GITA-ს შეუძლია განაცხადში მოყვანილი მონაცემები გამოიყენოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის რეკლამირების მიზნით, ისეთი დეტალების გამჟღავნების გარეშე (მაგ. გამოყენებული ტექნოლოგია, კომერციული საიდუმლოება ან სხვა სენსიტიური მონაცემები) რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს განმცხადებლის კომერციულ ინტერესებს;
- წინასწარი შერჩევის შემთხვევაში, GITA უფლებამოსილია საჯაროდ გააშუქოს პრეზენტაციები (საინვესტიციო კომიტეტთან) და კითხვა-პასუხის სესიების და/ან გამოაქვეყნოს ვიდეო ჩანაწერები, ისეთი დეტალების გამჟღავნების გარეშე (მაგ. გამოყენებული ტექნოლოგია, კომერციული საიდუმლოება ან სხვა სენსიტიური მონაცემები) რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს განმცხადებლის კომერციულ ინტერესებს;

3. ინფორმაციის მოთხოვნა

- GITA-ს მოთხოვნისამებრ, განმცხადებელი წარმოადგენს განაცხადების შეფასებისთვის საჭირო დამატებით ინფორმაციასა და დოკუმენტაციას;
- განმცხადებელი გონივრულ ვადაში მოახდენს GITA-ს ინფორმირებას მოწოდებულ ინფორმაციაში შესატან ნებისმიერ ცვლილებასთან დაკავშირებით, რათა ხელი შეუწყოს პროექტის შეუფერხებელ შეფასებას ან განხორციელებას;
- განმცხადებელი დაიცავს ყველა წესს, პირობას და პროცედურას, რომელიც თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის პროგრამის ფარგლებში არის დადგენილი, რათა შესაძლებლობა მისცეს GITA-ს მონიტორინგი გაუწიოს და შეაფასოს პროექტის განხორციელების მიმდინარეობა და მისი შესაბამისობა დასახულ მიზნებთან;
- განმცხადებელი წინასწარ და გადავადების გარეშე შეატყობინებს GITA-ს კომპანიასთან დაკავშირებული ისეთი დეტალების ცვლილების შესახებ როგორიცაა მისამართი, სამართლებრივი ფორმა კომპანიის მფლობელობა (პირდაპირი ან ირიბი, მაგ. ცვლილება მაკონტროლებელი კომპანიის მფლობელობაში) და ხელმძღვანელობა;
- განმცხადებელი გაეცნობა თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის პროგრამის დოკუმენტაციას და სრულად და უპირობოდ დაეთანხმება იმას, რომ მასთან დაკავშირებული ყველანაირი დოკუმენტაცია განმცხადებლისათვის სავალდებულოა და რომ ეს დოკუმენტაცია საგრანტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად ჩაითვლება.
- განმცხადებელი უფლებას აძლევს GITA-ს და/ან GITA-ს მიერ დანიშნულ პირებს და აუდიტორებს ჩაატარონ პროექტთან დაკავშირებული ანგარიშების, ჩანაწერების და სხვა დოკუმენტაციის შემოწმება და აუდიტი.
- განმცხადებელი უფლებას აძლევს GITA-ს მესამე მხარის (საერთაშორისო დონორები, სახელმწიფო სტრუქტურები, სხვადასხვა კონკურსების ორგანიზატორი ორგანიზაციები, განმცხადებელთან

თანამშრომლობის სურვილის მქონე პირები) მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს განმცხადებლის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი.

- განმცხადებელი თანახმაა GITA-მ გამოითხოვოს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ბაზებში განმცხადებელთან დაკავშირებული საგადასახადო ინფორმაცია. მათ შორის, საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია (დღგ-ს დეკლარაცია, საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია და სხვა).
- განმცხადებელი თანახმაა GITA-მ გამოითხოვოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საინფორმაციო ბაზებში განმცხადებელთან დაკავშირებული ინფორმაცია. მათ შორის პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, რეგისტრაციის მისამართი, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი).
- განმცხადებელი თანახმაა GITA-მ გამოითხოვოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის(SARAS) საინფორმაციო ბაზებში არსებული განმცხადებელთან დაკავშირებული ინფორმაცია.

4. დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტი

დამოუკიდებელი საინვესტიციო კომიტეტის გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას განმცხადებელი აცნობიერებს რომ GITA პასუხს არ აგებს შეფასების შედეგებზე ან გადაწყვეტილების შინაარსზე.

5. დაფინანსება

- გრანტის მიღების შემთხვევაში, განმცხადებელი ხელს მოაწერს საგრანტო ხელშეკრულებას, რომელიც წარმოდგენილია პროგრამის დოკუმენტაციის დანართი 10-ის სახით.
- გრანტის მოპოვების შემთხვევაში, განმცხადებელი პროექტს განახორციელებს ჯეროვნად და სრულად, სტარტაპების თანადაფინანსების გრანტების პროგრამის და საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- გრანტის მიღების შემთხვევაში, განმცხადებელი მოიპოვებს პროექტის თანადაფინანსების თანხას GITA-საგან დამოუკიდებელი წყაროებიდან და სასურველია კერძო სექტორის და არცერთ შემთხვევაში სახელმწიფო გრანტის წყაროებიდან, როგორც ეს მითითებულია საგრანტო ხელშეკრულებაში და უზრუნველყოფს პროექტის დროულად განხორციელებისათვის საჭირო ფინანსურ სახსრებს;
- გრანტის მოპოვების შემთხვევაში, განმცხადებელი ფინანსურ სახსრებს პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად გამოიყენებს, დაიცავს ფინანსური მართვის პრინციპებს და მოამზადებს ფინანსურ ანგარიშებს საბუღალტრო აღრიცხვის მიღებული სტანდარტების საფუძველზე და ადეკვატურად ასახავს პროექტთან დაკავშირებულ ოპერაციებს, რესურსებსა და ხარჯებს.
- გრანტის მიღების შემთხვევაში, განმცხადებელი GITA-ს მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს, რომ GITA-სათვის მისაღებმა დამოუკიდებელმა აუდიტორებმა შეამოწმონ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები და უწყისები, მისაღები სააუდიტორო სტანდარტების შესაბამისად;
- გრანტის მოპოვების შემთხვევაში, განმცხადებელი მოამზადებს ხარისხიან ფინანსურ და პროექტის მიმდინარეობის ანგარიშებს.

6. ინტელექტუალური საკუთრება

პროექტის ფარგლებში, განმცხადებელს გააჩნია ან მოიპოვებს ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლებას (რაშიც შედის პატენტი, სავაჭრო ნიშანი, ბრენდი, საავტორო უფლება, მომსახურების ნიშანი, ნოუ-ჰაუ, კვლევითი და საცდელი სამუშაოების შედეგები, და ა.შ.) (შემდგომში -"ინტელექტუალური საკუთრების უფლება"), ნოუ-ჰაუს ყველა უფლებას შემუშავებულ ტექნოლოგიასთან და/ან საბოლოო პროდუქტთან/მომსახურებასთან დაკავშირებით და არანაირ მესამე მხარეს არ ექნება უფლება პრეტენზია განაცხადოს ამ "ინტელექტუალური საკუთრების უფლების" ფლობაზე, ე.ი. განმცხადებელი არ დაარღვევს არანაირი მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას შესაბამისი გეოგრაფიული არეალის ფარგლებში. განმცხადებელი წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრებისა და ნოუ-ჰაუს უფლებების

მტკიცებულებას, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სალიცენზიო ხელშეკრულებებით და სხვა კონტრაქტებით, და ა.შ.;

7. თაღლითობა და კორუფცია

განმცხადებელი თანხმობას აცხადებს შერჩევის პროცესში და საგრანტო ხელშეკრულების განხორციელებისას იხელმძღვანელოს ეთიკის უმაღლესი სტანდარტებით. ამ პოლიტიკის შესაბამისად GITA წინამდებარე დებულების მიზნებისათვის შემდეგნაირად განსაზღვრავს ქვემოთ მოცემულ ტერმინებს:

(ა) "კორუფცია" ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე კანონით აკრძალული ქონების ან სხვა სიკეთის შეთავაზებას, მიცემას, აღებას ან მოთხოვნას, რაც ზეგავლენას მოახდენს მეორე მხარის ქმედებაზე;

(ბ) "თაღლითობა" ნიშნავს განზრახ ან გაუფრთხილებლობით ფაქტების გამოტოვებას ან არასწორ ინტერპრეტაციას მხარის მიერ ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღების ან მოვალეობის თავიდან აცილების მცდელობის მიზნით;

(გ) "საიდუმლო გარიგება" ნიშნავს საიდუმლო გარიგებას ორ ან მეტ მხარეს შორის, გაუთვიცნობიერებლად ან გათვიცნობიერებით, რაც მიმართულია არასათანადო მიზნის მისაღწევად, მეორე მხარის ქმედებაზე საზიანო ზეგავლენის მოხდენის ჩათვლით;

(დ) "ზეწოლა" ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზიანებას ან დაზიანების მუქარას ადამიანების ან მათი ქონების მისამართით, რათა მოხდეს ზეგავლენა შესყიდვების პროცესში მათ მონაწილეობაზე, ან კონტრაქტის განხორციელებაზე;

(ე) "ობსტრუქცია" ნიშნავს:

(აა) მტკიცებულებების ძალით განადგურება, ფალსიფიკაცია, შეცვლა ან დამალვა გამოძიებისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემა რათა ხელი შეეშალოს GITA-ს გამოძიებას კორუფციასთან, თაღლითობასთან, შეთქმულებასთან, ძალადობასთან დაკავშირებით; და/ან გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციის მქონე ნებისმიერი მხარის დაშინება ან მუქარა მის მიერ ამ ინფორმაციის გამჟღავნების აცილების მიზნით, ან

(ბბ) ისეთი ქმედებები, რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს GITA-ს ინსპექციისა და აუდიტის უფლების განხორციელებას.

სააგენტო უფლებამოსილია საგრანტო პროგრამის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე (მათ შორის კონკურსის მიმდინარეობისას და გამარჯვებული აპლიკანტების გამოვლენის შემდგომ პერიოდში) შეამოწმოს განმცხადებლის მიერ საგრანტო განაცხადში/ბიზნეს გეგმაში და თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე, რომელიც დაკავშირებულია განმცხადებლის მიერ მიღწეულ შედეგებთან და პროდუქტის/სერვისის განვითარების ეტაპებთან. საგრანტო განაცხადში ზემოაღნიშნული ინფორმაციის არასწორი წარმოდგენის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებელი მოხსნას კონკურსიდან/არ გასცეს საგრანტო დაფინანსება.

8. ინტერესთა კონფლიქტი

განმცხადებელი არ უნდა იმყოფებოდეს ინტერესთა კონფლიქტში GITA-სთან ან შეფასების პროცესში ჩართულ ნებისმიერ სხვა ინდივიდთან/ან ორგანიზაციასთან, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი შეფასების პროცესის განმავლობაში აღმოაჩენს, რომ ამგვარი ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა ან სავარაუდოა, მან ამის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს GITA-ს.

Annex 5

A STATEMENT OF AN APPLICANT ON THE ACCEPTANCE OF THE TERMS

The Applicant, represented by the undersigned, being the authorized signatory of the Applicant, confirms its intention to apply for the Call for Proposals under Startup Matching Grants, implemented by Georgia's Innovation and Technology Agency (hereinafter referred to as GITA) and acknowledges that:
The grants.gov.ge user <*name, last name, national identification number*> is the authorized representative of the Applicant for the purpose of submitting the present application.

1. **Eligibility**

- The Applicant is directly responsible for the preparation, management and implementation and is not acting as an intermediary;
- The Applicant is in a position to deliver immediately, upon request, all supporting documents stipulated in the Matching Grants Manual, as well as any additional documents or proof requested by GITA;
- The Applicant has the professional competence and qualifications specified in Matching Grants Manual;
- If awarded a grant, the Applicant can provide a mandatory portion of co-financing contribution as stipulated in the Matching Grants Manual;
- The Applicant is eligible in accordance with the criteria of the Startup Matching Grants Program;
- The Applicant is not funded for the same goods and services that GITA has already funded for the same activities;
- The Applicant is not Bankrupt, insolvent, being wound up, in the process of reorganization and is not registered in the debt registry of the National Enforcement Bureau or having their affairs administered by the courts, has not suspended business activities for whatever reasons, is not subject of proceedings concerning those matters, or are not in any analogous situation arising from a similar procedure provided for in national legislation or regulations;
- The Applicant's co - founders are not registered in the debt registry of the National Enforcement Bureau;
- The Applicant is not in breach of duties related to taxes in accordance with the Tax Code of Georgia;
- If awarded a grant, the Applicant accepts the terms and conditions as laid down in the Financing Agreement;

2. **Use of Information**

- All information stated in the submitted documents is accurate and complete and should they prove to be false, the Applicant may be subject to rejection from this procedure and to administrative sanctions in the form of exclusion from the evaluation process or termination of the Financing Agreement during the implementation stage;

- The Applicant takes sole responsibility for the equal authenticity of documents supplied in English and in Georgian;
- GITA may publish the Applicant's details such as name, address, etc. and summary information on the project proposal without disclosing details (e.g., technology used, trade secret or other sensitive data) that might damage the commercial interest of an Applicant;
- The applicant gives GITA the right to give the third party (Donor organization, Government Institutions, organizations holding various competitions and events, People who want to get in touch with the beneficiaries) if asked, the email, legal name of the beneficiary, identification number and the short description of the project.
- GITA may process the data in the frame of Startup Matching Grants without disclosing details (e.g. technology used, trade secret or other sensitive data) that might damage the commercial interest of an Applicant;
- In case of pre-selection, GITA may use the data provided in the application to promote the Matching Grant Program without disclosing details (e.g., technology used, trade secret or other sensitive data) that might damage the commercial interest of an Applicant;
- In case of pre-selection, GITA may publicly broadcast the pitching (interviews with Investment Committee) and Q&A sessions and/or make video recordings publicly available, however, without disclosing details (e.g., technology used, trade secret or other sensitive data) that might damage the commercial interest of an Applicant;

3. Requests for information

- The Applicant will deliver the additional information and documentation necessary for the evaluation of the application as requested by GITA;
- The Applicant will timely inform GITA of any change in the providedinformation in order to accommodate a smooth evaluation or implementation of the project;
- The Applicant will adhere to all rules, regulations and procedures established in the frame of the Startup Matching Grants to enable GITA to monitor and evaluate the project implementation progress and its compliance to set objectives;
- The Applicant will <u>proactively</u> inform GITA without a delay in the event of a change in any of the company details, such as an address, legal form, company ownership (direct or indirect e.g., change in the ownership of the parent company) and management;
- The Applicant has familiarized itself with Startup Matching Grants documents and fully and irrevocably agree that all Startup Matching Grants documents are binding for the Applicant and that these documents will be considered as integral part of the Financing Agreement.
- The Applicant will allow GITA or persons or auditors appointed by GITA to examine and audit the accounts, records and other documents related to the project;
- The Applicant authorizes GITA to provide the applicant's e-mail address to third parties (international donors, state structures, organizing organizations of various contests, individuals/organizations wishing to communicate with the applicant) upon request.
- The Applicant agrees that GITA shall request tax information relating to the tax the information from information database of the Revenue Service. Including information containing tax secrets (VAT declaration, income tax declaration, etc.);

- The Applicant agrees that the Agency shall request information related to the applicant from the information database of the State Service Development Agency. Including information related to personal data (name, surname, registration address, national identification number, sex, date of birth).
- The Applicant agrees that the Agency shall request information related to the applicant from the information database of the Service of Accounting, Reporting and Auditing Supervision (SARAS).

4. Independent Investment Committee

The Applicant cannot appeal the decision of the Independent Investment Committee and confirms that GITA is not responsible for the outcomes of the evaluation or the content of the decision.

5. Financing

- If awarded a grant, the Applicant will sign the Financing Agreement as provided by GITA;
- If awarded a grant, the Applicant will carry out and implement the project properly and efficiently in accordance with the terms of Startup Matching Grants and the Financing Agreement;
- If awarded a grant, the Applicant will co-finance the project from sources not associated with GITA, preferably from private and excluding public sources, as set out in the Financing Agreement and will provide funds necessary for the implementation of the project in a timely manner;
- If awarded a grant, the Applicant will use funds in accordance with the project budget, maintain a financial management system and prepare financial statements in accordance with the applicable accounting standards, and will adequately reflect the operations, resources and costs associated with the project;
- If awarded a grant, the Applicant, at the request of GITA, will ensure that the independent auditors acceptable to GITA will verify the submitted financial reports and financial statements, in accordance with applicable auditing standards;
- If awarded a grant, the Applicant will provide quality financial and progress reports.

6. Intellectual Property

In the frame of the project, the Applicant has or will acquire (whichever is applicable) all intellectual property rights (including patents, trademarks, brands, copyrights, service marks, know-how, R & D results, etc.), hereinafter referred to as "IPR", and all the know-how rights in relation to the technology and/or the final product/service developed and no third party can claim for the possession of these IP rights, i.e., Applicant does not infringe the IP rights of any third party within the applicable geographical scope. The Applicant will provide evidence on the IP and know-how rights, including but not limited to licensing agreements and other contracts, etc.;

7. Frauds and corruption

The Applicant agrees to comply with the highest ethical standards both during the selection process and throughout the execution of the financing agreement. In pursuance of this policy, the GITA defines the following terms set forth below:

a) “Corrupt practice” is the offering, giving, receiving, or soliciting, directly or indirectly, of anything of value to influence the actions of another party;

b) “Fraudulent practice” is an act or omission, including misrepresentation, that knowingly or recklessly misleads, or attempts to mislead, a party to obtain financial or other benefit or to avoid an obligation;

c) “Collusive practices” is an arrangement between two or more parties designed to achieve an improper purpose, including to influence the actions of another party improperly;

d) “Coercive practices” is impairing or harming, or threatening to impair or harm, directly or indirectly, persons or their property to influence their participation in a procurement process, or affect the execution of a contract;

e) “Obstructive practice”

(aa) deliberately destroying, falsifying, altering, or concealing of evidence material to the investigation or making false statements to investigators in order to materially impede a GITA investigation into allegations of a corrupt, fraudulent, coercive, or collusive practice; and/or threatening, harassing, or intimidating any party to prevent it from disclosing its knowledge of matters relevant to the investigation or from pursuing the investigation, or
(bb) acts intended to materially impede the exercise of the GITA’s inspection and audit rights.

The Agency is authorized to check the correctness of the information presented by the Applicant in the grant application/business plan and the attached documentation, which is related to the Applicant's results and the stages of product/service development, at any stage of the grant program's implementation (including during the competition and in the period following the announcement of the winning applicants). In the event that the above-mentioned information is incorrectly presented in the grant application, the Agency retains the right to remove the Applicant from the competition/refuse to grant funding.

8. Conflict of Interests

The Applicant is not involved in the **conflict of interest** with GITA or any of the individuals and/or organizations involved in the evaluation process should Applicant discover during the evaluation process that such a conflict exists or might exist, should immediately disclose it to GITA.